# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
# №10.29/10/096

**ქ. თბილისი** **22 დეკემბერი 2020 წელი**

ერთის მხრივ **ქ . თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, აკ. ბელიასვილის ქ. №1 (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის - მამუკა ვეკუას სახით და მეორეს მხრივ **შპს "ტვ სარფი",** მდებარე ქ. თბილისი, იური გაგარინის ქ. №24 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ზამირა ჩიგოგიძეს სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყივი ობიექტია: **ქ . თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობისთვის (19 წერტილი) საკაბელო სატელევიზიო მომსახურეობის შესყიდვა.**

1.2. **ერთი წერტილის ფასი დღეში არის 0.60 ლარი. სულ დღეში (19 წერტილი) 11,40 ლარი. ჯამში 348 დღეზე 3 967,20 (სამი ათას ცხრაას სამოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარი.**

1.3. კლასიფიკატორი კოდი (CPV) – 92200000 / 92220000 - სატელემაუწყებლო მომსახურებები.

## 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3 967,20 (სამი ათას ცხრაას სამოცდაშვიდი ლარი და 00 თეთრი) ლარი** ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს..

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება - **2021 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, **2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით**.

## 5. შესყიდვის ობიექტის მირება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად)

## 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ამ სფეროში არსებულ სტანდარტებთან და ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო ან ეტაპობრივი შემოწმების განხორციელებისას ნივთობრივი ნაკლის ან წუნის (დეფექტი, ხარისხის მოთხოვნებთან შეუსაბამობა) აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი დაუყოვნებლივ გაუგზავნის მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ შეტყობინებას და განუსაზღვრავს ნაკლის აღმოფხვრისთვის გონივრულ ვადას. შეტყობინების მიწოდება დასაშვებია, როგორც ფოსტის საშუალებით, ასევე მიმწოდებლის წარმომადგენლისათვის ხელზე ჩაბარებით ან/და ელექტრონული ფორმით, რომელსაც ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ენიჭება ოფიციალური შეტყობინების სტატუსი.

6.4. შეტყობინების მირების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს  დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.5 იმ. შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.7  იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა

– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
– გააფრთხილოს „შემსყიდველი“ მომსახურების მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ფორს-მაჟორული პირობების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.6. ხელშ ეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხელოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით,

9.7. იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მიწოდების ვადის გადაცდენის გამო დაკისრებული საურავის ჯამურ ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ს “შემსყიდველს” უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.8. ხელშეკრულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ასევე მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.9. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

**გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - თამარ მაისურაძე.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის ან/და ელექტრონული ფორმით, რომელსაც ხელშეკრულების მიზნებისათვის ენიჭება ოფიციალური შეტყობინების სტატუსი. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა/მიწოდება ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე ან/და ელფოსტაზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული ან მოხდა მისი ცვლილება, რის შესახებაც არ შეიძლებოდა სცოდნოდა მეორე მხარეს, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე ან/და ელ.ფოსტაზე გაგზავნის მომდევნო დღიდან

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**
**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**დიდუბის რაიონის გამგეობა**
**ს/კოდი: 202171167**
**მის. აკ. ბელიაშვილის ქ. N1**
**სახელმიწფო ხაზინა:**
**ა.ა. GE24NB0330100200165022**
**TRESGE22**

**მიმწოდებელი**
**შპს „ტვ სარფი“**
**ს.კ. 445459423**
**მის. ქ. თბილისი, იური გაგარინის ქ. №24**
**ტელ.: 0322901011**
**ფაქსი: +995 32 2923777**
**სს „ბანკი“**
**ა.ა. GE15BS0000000360245876**
**TEBAGE22**

---

**მამუკა ვეკუა**

---

**ზამირა ჩოგოვაძე**

LTD TV Sarpi
Digitally signed by LTD TV Sarpi
Date: 2020.12.22 15:47:34 +04'00'

# ხელწერილი

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2020 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2020 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული №10.29/10/096 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ . თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობისთვის (19 წერტილი) საკაბელო სატელევიზიო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებლის ფუნქციების
დროებით შემსრულებელი ----------
მამუკა ვეკუა

გამგეობის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი ----------
თამარ მაისურაძე

**შპს „ტვ სარფი“**
იური გაგარინის ქ. №24, 0160, თბილისი, საქართველო.
ტელ.: +995 32 2901011 ფაქსი: +995 32 2923777

# ინვოისი №1012ა/2020წ

| | |
|---|---|
| გაცემის თარიღი: | 15 დეკემბერი 2020წ |
| ხელშეკრულების ნომერი: | |
| ხელშეკრულების თარიღი: | |

**აბონენტი:** **დიდუბის რაიონის გამგეობა**

| | |
|---|---|
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 202171167 |
| მისამართი: | ა.ბელიაშვილის ქუჩა N1 |

**პერიოდი:** **01/18/2021წ – 31/12/2021წ**

| # | მომსახურების დასახელება | წერტილების რაოდენობა | დღიური ტარიფი | დღეების რაოდენობა | თანხა დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სააბონენტო გადასახადი | 19 | 0.60 | 348 | 3967.20ლარი |
| **ჯამი:** | | | | | **3967.20ლარი** |

**საბანკო რეკვიზიტები:**

| | |
|---|---|
| მიმღები: | შპს „ტვ სარფი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 445459423 |
| ბანკის დასახელება: | სს „ტერა ბანკი“ |
| ბანკის კოდი: | TEBAGE22 |
| ანგარიშსწორების ანგარიში: | GE15KS0000000360205876 |

შპს „ტვ სარფი“-ს დირექტორი: ზამირა ჩიგოგიძე

TV SARPI
445459423
GEORGIA